



უკუკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აქაი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზეთი ● №3-4 (№194-195) ● მარტი-აპრილი 2018 წელი



სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი
ხ ვ ი რ ე უ ლ ი

83.4-5

დოქტორანბთა და
მაგისტრანბთა
პირველი სამეცნიერო
ხონფარანბთა

83.3

„არბანბი და ყარსი“
83.8



6 მარტს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა შპს „კურორტ საირმესთან“, შპს „სიემ ჯორჯიასთან“ და შპს „თბილისი ტრეიდერთა კლუბთან“.

მემორანდუმი ითვალისწინებს აღნიშნულ კომპანიებში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების მიერ როგორც პროფესიული პრაქტიკის გავლას, ისე ერთობლივი შექმენებითი პროექტების განხორციელებას, კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და კომპანიის წარმომადგენლების მიერ მასტერკლასების ჩატარებას.

13 მარტს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ქუთაისში არსებულ კერძო და საჯარო სკოლებთან. ღონისძიებას აწესრიგებდა გიორგი ლაყბაძე, რექტორის მოადგილე - შალვა კირთაძე, პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი - ვლადიმერ ადუიშვილი, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, დასავლეთ საქართველოს საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები და ქუთაისში არსებული საჯარო/კერძო

სკოლების დირექტორები დაესწრნენ. მემორანდუმის ფარგლებში, აწესრიგებენ ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკას გაეფორმან ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლებში. ღონისძიებაზე, აწესრიგებდა FAB LAB-ის მენეჯერებმა წარადგინეს პროექტი “ვირტუალური რეალობის გამოყენება სასწავლო პროცესში”. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, პირველად საქართველოში, ქუთაისის # 31 საჯარო სკოლაში, VR-ის გამოყენებით, ჩატარდა თანამედროვე ბიოლოგიის გაკვეთილი.



2 აპრილს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საჯარო მმართველობის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტები (ჯგუფის ხელმძღვანელები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საგნის ლექტორები ნატო ქათამაძე და სოფიო მიქაბაძე) შპს „ჯორჯიან მანგანუმი“-ს სტუმრობდნენ. ვიზიტის მიზანია, საგნის, „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ თეორიული ცოდნის, საწარმოო პრაქტიკაში ნახვა იყო. ჩატარდა საჯარო ლექცია, მოხდა ადამიანური რესურსების სამსახურის თა-

ნამშრომლებთან გამომცდილების გაზიარება, დირექტორის მოადგილემ, პერსონალისა და სოც. უზრუნველყოფის საკითხებში, გონა ჭანტუიძემ ისაუბრა ადამიანური რესურსების სამსახურის როლსა და მნიშვნელობაზე. ვიზიტის ბოლოს, სტუდენტებმა დაათვალიერეს საწარმოს მუშეუმი და პირველი სადნობი სააპქრო, სადაც მკვლევრობას უწევდნენ წარმოების ტექნიკა-უსფოთოების სამსახურის უფროსი ამირან ზარნაძე და საწარმოს მუშეუმი დირექტორი ლია ბარბაქაძე.

ნატო ქათამაძე



27 მარტს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ლაყბაძემ კორეის რესპუბლიკის საელჩოს საქმეთა დროებით რწმუნებულს კიმ ინ ჰანს უმასაინძლა. შეხვედრაზე განიხილეს კორეის რესპუბლიკასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებული და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები.

კორეის სალჩომ აწესრიგებდა კორეული ენისა და კულტურის უკეთეს გაგნობის მიზნით, წიგნები და ციფრული ვიდეო დისკები გადასცა. მომავალში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიგეგმა კორეული ენისა და კულტურის კუთხის მოწოდება. დასასრულს, კიმ ინ ჰანმა აწესრიგებდა კორეულ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ გადასცა.





აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჟურნალისტიკის მიმართულების ხუთი სტუდენტი - გიორგი აბაზაძე, ესმერალდა კუპრაძე, თეო ჯინჯველაძე, ნათია სვანიძე და რეზი ბურჯანაძე მონაწილეობდნენ USAID/REP-ისა და JRS-ის (ჟურნალისტიკის რესურსცენტრი) ერთობლივ, რესპუბლიკურ პროექტში “მე - აგროჟურნალისტი”. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, პროექტში ჩართული იყო ბათუმის, თელავის, გორისა და ახალციხის უნივერსიტეტები. დახურვის ცერემონიალი გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელსაც USAID/REP-ის პროგრამის როგორც ამერიკელი, ასევე ქართველი წარმომადგენლები, ცენტრალური და რეგიონული მედიასაშუალებების დირექტორები დაპროექტის

მონაწილეები ესწრებოდნენ. კონკურსის ფინალურ ეტაპზე გადავიდა ოთხი ნამუშევარი, რომელთა შორის მოხვდა ფილმები კომპანია “გურმანსა” და კომპანია “ფარკონზე”. აღნიშნული ფილმები მომზადდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ. დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა კომპანია “გურმანზე” შექმნილმა სიუჟეტმა. პროექტში წარმატებას მოჰყვა სერიოზული შეთანხმებები სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან - “მაუწყებელთა ასოციაციის” ხელმძღვანელმა ნათია კუპრაშვილმა და არასამთავრობო ორგანიზაციის “მომავლის ფერმის” დირექტორმა რუსუდან გიგაშვილმა სტუდენტებს თანამშრომლობა შესთავაზეს. აწესრიგებდა სტუდენტების ნამუშევრები საზოგადოებრივი რადიო მაუწყებლის გადაცემა “ფერმის” რეჟისორი გახდა.

23 აპრილს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა აწესრიგებდა 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია - „ენა, ლიტერატურა, კულტურა“. პლენარულ სხდომაზე იენის ფრიდრიკ შილერის უნივერსიტეტის პროფესორს პეტერ გალმანს აწესრიგებდა გიორგი ლაყბაძემ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომი გადასცა.



მწევრ კირთაძე - 50

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების „მრგვალი“ თარიღის უღოცავს რექტორის მოსტავის, ასოც. პროფ. მწევრ კირთაძეს.

უხურვებს მას ხსენებდნენ ნაყოფიერ სიცოცხლეს, წარმსებულ საქმიანობას უნივერსიტეტის,



ჩვენი ქაღალცი, მთლიანად ქვეყნის საკეთილდღეოდ, მისთვის სამსახურსადაც მუშაობდა და ენერჯითი სხვადასხვა სახესხარეში კიდევ დიდხანს ყოფნას.

ლოქორანტთა და მაგისტრანტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია

25 აპრილს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტისა და ქართული ლიტერატურის მიმართულების ორგანიზებით გაიმართა დოქტორანტთა და მაგისტრანტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია. დოქტორანტებმა და მაგისტრანტებმა წარმოადგინეს საინტერესო და მეცნიერული სიახლეებით გაჯერებული მოხსენებები: ბელა ღურგლიშვილი (დოქტორანტი, ივანე მხატვრული ფუნქცია ჯგერალ ქარხანის რომანში „ხეზონი“, ხელ-ლი პროფ. ნესტან კუტივაძე), თონა ლომიძე (დოქტორანტი, ნიკოლო მისწივილის სიმბოლოსტური პროზის ზოგიერთი საკითხი, ხელ-ლი პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი), მონიკა ჯიჭონაია (დოქტორანტი, ალექსანდრე ტარსაიძე - ამერიკაში მოღვაწე ინგლისურენოვანი ემიგრანტი მწერალი, ხელ-ლი პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი), სოფიო ჭუმბურიძე (დოქტორანტი, ქალთა ემანსიპაციის ზოგიერთი საკითხი ილიასა და აკაკის პუბლიცისტულ კავშირში, ხელ-ლი პროფ. ნესტან კუტივაძე), ლანა ჩხეიძე (დოქტორანტი, „ვეფხისტყაოსნის“ ვალბი ადგილები ალექსანდრე სარაჯიშვილის თვალთახედვით, ხელ-ლი პროფ. თეიმურაზ გვეტაძე), ანა შვანგირაძე (მაგისტრანტი, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ევროპულ ლიტერატურამცოდნეობაში შეფასებით, ხელ-ლი პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი), ლიკა თევტაშვილი (მაგისტრანტი, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუვენის „ლალატი“ და ანდრეას გრიფის „ქიუვენი ქართველი ანუ გაუტყვევლები სიმტიცი“ (ლიტერატურულ-ისტორიული პარალელები), ხელ-ლი პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი), თინათინ ბურჯალაძე (მაგისტრანტი, გრიგოლ რობაქიძის „წაკლული სული“ და ოსმან ფამუქის „თოვლი“ (რელიგიური პარალელები), ხელ-ლი პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი), ლილე ბერაძე (მაგისტრანტი, ნიკოლო მისწივილი - გაორებული მსოფლმხედველობის მწერალი, ხელ-ლი პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი), ანა ჯიჭია (მაგისტრანტი, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუვენის „ლალატი“ ქართული თარგმანები, ხელ-ლი ასოც. პროფ. გაა ხოფერიანი), უცხო ენების ცოდნა დოქტორანტებს საშუალება მისცა კვლევის პროცესში არამარტო ქართული, არამედ უცხოური მასალები გამოეყენებინათ. კონფერენციის დასასრულს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტთა და მაგისტრანტთა კონფერენცია ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს.



ეთნოგრაფიული აქსპედიციები და აქსპედიციის შედეგებისადმი მიძღვნილი ჟურნალური კონფერენციები ახალი წარათლის სახელმწიფო უნივერსიტეტში



2017 წლის ივლისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ფილოლოგიის სპეციალისტების სტუდენტები ეთნოგრაფიული ექსპედიციით ვიმყოფებოდით სვანეთში. მოვიარეთ სოფლები ნაკრა და ლახამულა. ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგები: 1. გადავარჩინეთ (დღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მიმდინარეობს ჩაწერილი მასალების გაციფრება) და მომავალს სამეცნიერო კვლევისთვის მზა სახით გადავცემთ მასალები საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულთა ეთნიკური, ლოკალური თვალსაზრისით გამოჩენილი მახასიათებლების, წეს-ჩვეულებების, რიტუალების, ტრადიციების ... შესახებ; 2. სამშობლოს სიყვარული რამდენადაც გეგნებოდა, იმდენად სჭირდება აღზრდაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეთნოგრაფიული ექსპედიციები ერთგვარი სწავლებაა, საკუთარის სიყვარულისა, გადარჩენილი ქართულობის მოძიებისთვის შენახვისა. შტრ.: ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიმდინარეობისას ეთნიკური ისტორიის საკითხების შესწავლისთვის უმნიშვნელოვანესი მასალების მოძიების შემდეგ, სტუდენტები მაღლიანი კმაყოფილებით აღნიშნავენ: „რა ძალიან

კარგია ქართველობა“! 3. ექსპედიციების მასალები საინტერესოა ქართულ ეთნიკურ კულტურაზე გაგებების, მისი ეთნიკურისავე შესაბამისად განვითარების, სახეცვლილების, თუ მივიწყების მიზეზთა შესწავლის თვალსაზრისით; 4. ბაკალავრ-მაგისტრები სხვადასხვა მიმართულების პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მუშაობენ ისტორიულ-შეღარებითი მეთოდის გამოყენებით და აანალიზებენ ექსპედიციის მასალებს მათთვის საინტერესო სფეროში: ეთნოლოგია; საქართველოს ისტორია; ენათმეცნიერება; ფოლკლორი; სამართალმცოდნეობა; ფსიქოლოგია, ტურიზმი... 2017 წლის ნაკრას ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით დამუშავდა 16 ნაშრომი: თეა ხაცავა, ზოგი საყოფაცხოვრებო ლექსისათვის სვანურში (2017 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასისტ. პროფესორი ლეიზა ხაჭაპურიძე; მარიამ ასანიძე, ურთიერთობა ვაბარლო-ბაღყარეთთან (ეთნოგრაფიული ექსპედიცია „ნაკრა 2017“ მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, პროფესორი ვლადიმერ წვერაძე; ბაია ჟვინია, დასახლების ფორმა და საცხოვრისის ტიპი (ნაკრა-ლახამულას ეთნოგრაფიული

მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასისტ. პროფესორი დავით შავიანიძე, მერამ ჭუმბურიძე; მარიამ ასათიანი, ჩვეულებითი სამართალი (ნაკრა 2017 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი ირაკლი შენგელია; მონიკა ბაკურაძე, მარიამ კახაძე, გვარსახელები სვანეთიდან (ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი დავით შავიანიძე; გიორგი ხურციძე, თონა ჭვევიანი, ქრისტინა დღესასწაულთა თავისებურებისათვის სვანეთში (ეთნოგრაფიული ექსპედიცია „ნაკრა 2017“ მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი გოდერძი თევდორაძე; თამაზ შავიანიძე, გენდერული როლები და სტერეოტიპები ტრადიციულად და დღეს (სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი დავით შავიანიძე; მელა ჯიჯელავა, ნადირობის ქალმერთი დალი მითოლოგიაში (სვანეთის ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი დავით შავიანიძე; მელა ჯიჯელავა, ნადირობის ქალმერთი დალი მითოლოგიაში (სვანეთის ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი ბადრი ფორჩხიძე; ხათუნა ლიპარტელიანი, ქორწინების ტრადიციებისათვის სვანეთში (ეთნოგრაფიული ექსპედიცია „ნაკრა 2017“ მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასისტ. პროფესორი ლეიზა ხაჭაპურიძე; ანა ბოკუჩავა, სვანური ტრადიციული სამზარეულო (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ხელმეურნეების წესით მოწვეული სპეციალისტი ქართულ ენაში ფიქრია ჭაბუკიანი; ფარსმან ფორჩხიძე, სვანური აღზრდის წეს-ჩვეულებები. ტრადიციები და თამაშობები (ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი — ასოც. პროფესორი ბადრი ფორჩხიძე; ხათუნა ლიპარტელიანი, ქორწინების ტრადიციებისათვის სვანეთში (ეთნოგრაფიული ექსპედიცია „ნაკრა 2017“ მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასისტ. პროფესორი ლეიზა ხაჭაპურიძე; გვანცა ციბაძე, ანა ენუქიძე - სვანური ფოლკლორი (ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი ნორა ნიკოლაძე; ირმა ძნელაძე - სვანური ხალხური მედიცინა (ნაკრას ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასა-

ლების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასისტ. პროფესორი რამაზ ხაჭაპურიძე; თ. კვირიკაშვილი, გ. მინდიაშვილი - ნადირობისთან დაკავშირებული რიტუალები (2017 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასისტ. პროფესორი რამაზ ხაჭაპურიძე; მ. ტაბატაძე - სვანეთის ტურისტული პროდუქტი (სვანეთის ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი სერგო ცაგარეიშვილი. აღნიშნული ნაშრომებიდან ნაწილი უკვე განხილულ იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 26 აპრილს გამართულ, ეთნოგრაფიული ექსპედიცია „ნაკრა - 2017“ შედეგებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა (ბაკალავრთა და მაგისტრთა) სამეცნიერო კონფერენციაზე. კონფერენციის ფარგლებში უნივერსიტეტში მოეწყო ექსპედიციის მასალების ფოტოგამოფენა. მსგავსი შესაძლებლობის შემთხვევაში იგეგმება ზოგიერთი ნაშრომის სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე გატანა. უდიდესი მადლიერებით აღვნიშნავთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ სულხან კუპრაშვილის ინიციატივის შესახებ. ბატონმა სულხანმა დაუშვა ტრადიციულ ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალების ბეჭდური გამოცემა. მადლიერება ვგვლას, ვინც საქართველოს სხვადასხვა თემში დღემდე ინახავს, უვლის, ქართულისავე შესაბამისად ავითარებს ყოველივე ქართულს, გვერდით უდგას ქართველურ (2017 წლის ექსპედიციის მასალებისადმი, ნაკრას მკვიდრი სპარტაკ გვარამიანი ჩვენი სვანური ექსპედიციების მასალებისადმი) საქმეს; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და უნივერსიტეტის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას.

დავით შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი, ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარი

სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ხვდროული



უკვე რამდენიმე წელია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციად იქცა საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული. პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები იგონებენ 1978 წლის 14 აპრილს, დღეს, როცა ქართველმა ხალხმა, ახალგაზრდობამ ღირსეულად დაიცვა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი.

2018 წლის 11-14 აპრილს ჩატარებული კვირეულიც ამ ტრადიციის გაგრძელება იყო. კვირეულის ფარგლებში გაიმართა საინტერესო ღონისძიებები: პროექტის „მე მიყვარს ქართული — ჩემი სახელმწიფო ენა“ (ხელმძღვანელი პროფ. მ. მანჯგალაძე, თბილისი) ფარგლებში ქართულ ენაში მოშადების საგანმანათლებლო პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ჩატარდა კარნახი, რომელიც ერთდროულად დაიწყო და პარალელურად მიმდინარეობდა საქართველოს ცხრა უნივერსიტეტში. ტექსტი კარნახისათვის საგანგებოდ შექმნა მწერალმა დათო ტურაშვილმა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მონაწილეობდა ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამის (ხელმძღვანელი პროფ. რ. სადინაძე) კურსდამთავრებული ექვსი სტუდენტი (ნ. გუსეინოვი, თ. ნაზიევი, რ. ბიჩაჩიანი, მ. თათაძე, ჟ. არუტიუნიანი, ჯ. ახმედოვი). მონაწილეებს სიმბოლურად გადაეცათ სამკერდე ნიშნები წარწერით „მე მიყვარს ქართული — ჩემი სახელმწიფო ენა“. ადგილობრივი ჟიურის გადაწყვეტილებით ყველა

მონაწილის ნაშრომი გაიგზავნა თბილისში, სადაც გამოვლენილ 12 გამარჯვებულს შორის ნომინაციაში „საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის რჩეული“ მოხდა ნ. გუსეინოვი, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის გიორგი კეკელიძის მიერ დაჯილდოვდა სერტიფიკატითა და წიგნებით.

კონკურსში „ვინ უკეთ წერს“ (თემა „ენა — სული ადამიანისა, სახე ღვთისა“) I ადგილი დაიკავა ნ. გურგენიძემ (ქართული ენა-ლიტერატურა, III კურსი); II ადგილი — თ. ასათიანმა (ქართული ენა-ლიტერატურა, III კურსი);

III ადგილი — მ. აბულაძემ (ქართველური ენათმეცნიერება, მაგისტრატურა, II კურსი). გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ პრიზებით.

ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ქართული ენის ნორმათა შემსწავლელი წრის (ხელმძღვანელი ნ. ჩეჩელაშვილი) კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო თითხმეტმა მოსწავლემ. მოსწავლეებმა წაიკითხეს მოხსენებები ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.


ვიქტორინაში „თუ დაივიწყე ენა

ქართული!..“ გამოვლინდა სამი გამარჯვებული გუნდი: I ადგილი — გუნდი „უბრჯგუ“ (თ. ასათიანი (კაპიტანი), კ. ასათიანი, ს. გოგინავა, ლ. ბლიაძე, ნ. გურგენიძე, ნ. ასანიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენა-ლიტერატურა); II ადგილი — გუნდი „ქერუბიმი“ (მ. აბულაძე (კაპიტანი), მ. პაქსაშვილი, თ. ხაცავა, ლ. დარსაძე, ა. ჯიქია, ე. გიგიაძე — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ქართველური ენათმეცნიერება; ქართული ლიტერატურა — მაგისტრატურა); III ადგილი — გუნდი „ინტეგრალი“ (ნ. ზვიადაძე (კაპიტანი), მ. გაზოკიძე, თ.



სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ხვდროული

დასაწყისი გვ. 4



გუგუციძე, ა. გელენიძე, ი. ჯაფარიძე, რ. შავგულიძე).

13-14 აპრილს გაიმართა ტრადიციული აქცია — სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი „ბუკლეტების“ დარიგება უნივერსიტეტისა და ქალაქის მასშტაბით, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველკურსელები.

სახელმწიფო ენის კვირეულის ფარგლებში უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამუხეუძო მიმართუ-

ლების მიერ მოეწყო ქართული ენის კათედრის ფუძემდებლების საარქივო ფოტო-დოკუმენტური მასალების გამოფენა. წარმოდგენილი იყო აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, გიორგი ახვლედიანისა და სხვა მეცნიერთა ფოტოები, ასევე მათი უნიკალური ხელნაწერები; უნივერსიტეტის ფოიეში გამოფენილი იყო პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კალიგრაფიული ნამუშევრები და ხელნაკეთი ნივთები.

13 აპრილს გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა, რომელშიც ქართველ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოელმა და თურქეთიდან ჩამოსულმა სტუდენტებმა, აგრეთვე ქალაქიდან მოწვეულმა სტუმრებმა.


13 აპრილს ჩატარდა სტუდენტთა II საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენცია ქართულ ენაში. კონფერენციაში მონაწილეობდა საქართველოს ექვსი და თურქეთის ორი უნივერსიტეტი: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი (თურქეთი), დუზჯეს უნივერსიტეტი (თურქეთი). სულ ოცდათორმეტმა სტუდენტმა წარმოადგინა ქართული ენის საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებები. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატები და წიგნები.

14 აპრილს კონფერენციის მონაწილეთათვის მოეწყო ექსკურსია. სტუმრებმა მოინახულეს გელათის მონასტერი.

*ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტი
ქართული ენის მიმართულება
სტუდენტთა საენათმეცნიერო წრე*

ახალგაზრდა გიორგი მჭედლიძე 90 წლისაა



ვისი სიცოცხლის შეგნებული ნაწილი მეცნიერული კვლევისა და პედაგოგიური მოღვაწეობის, პრინციპულობისა და პატიოსანი ცხოვრების სულიკვებით გაატარა.

ერთი კაცის წუთისოფლისათვის, ალბათ, საკმარისია ზემოთ ჩამოთვლილი ღირსებები, მაგრამ გიორგი მჭედლიძის, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის, სრული პორტრეტის შესაქმნელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგადად მიმოვიხილოთ მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა.

გიორგი მჭედლიძის ცალკე გამოცემები თემატურად სამ ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს. ერთი ნაწილი ეხება უმაღლესი სკოლის ისტორიისა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციას. აღნიშნულ თემატიკას ეხება „მითითებანი პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსრულებელი განყოფილების ისტორიის სპეციალობის სასწავლო გეგმაზე“ (თბ., 1959, 64 გვ.), „მითითებანი პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსრულებელი განყოფილების დაწესებულების მეთოდის სპეციალობის სასწავლო გეგმაზე“ (თბ., 1961, 82 გვ.), „მითითებანი პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსრულებელი სწავლების ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სასწავლო გეგმაზე“ (თბ., 1962, 76 გვ.), „პირველყოფილი თემური წყობილება სსრ კავშირის ტერიტორიაზე და მისი სწავლების საკითხი“ (თბ., 1976, 86 გვ.).

თემატურად მეორე ჯგუფში ერთიანდება რუსეთის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი წიგნები: „რუსეთი ლომონოსოვის დროს“ (ნაკვ. I, თბ., 1979; ნაკვ. II, თბ., 1982), „კულიკოვო — ველი რუსეთის დიდებისა, 1380-1980“ (თბ., 1980, 99 გვ.).

საქართველოს ისტორიის თემატიკაზე გიორგი მჭედლიძის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან შედარებით ადრეულ პერიოდს ეკუთვნის „ქრონოლოგია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში (V-XIV სს.)“ (ქუთ., 1963). სწორედ აღნიშნულ თემაზე დაიცა კან დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა მან დიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება აგრეთვე შოთა რუსთაველის საბავშვო (800 წლისთავი) გამოქვეყნებული ნაშრომი „საქართველო რუსთაველის ეპოქაში“ (ქპი-ის შრომები, ტ. XXIX, ქუთ., 1966, გვ. 87-110).

1978 წელს გამოვიდა გიორგი მჭედლიძის წიგნი „ქრონოლოგიის ძირითადი საკითხები“ (125 გვ.), რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში შეუსწავლელ პრობლემურ საკითხს ეხება. წიგნმა მაღალი შეფასება დაიმსახურა არა მარტო ქართულ (რეცენზიებიანი. ლომოურისა და შ. ხანთაძის), არამედ მოსკოვის სამეცნიერო წრეებშიც. რიგ პუბლიკაციებში იგი დასახელებულია, როგორც ისტორიის დამხმარე დისციპლინის — ქრონოლოგიის აღორძინების წარმატებული ცდა. 2009 წელს ცალკე გამოვიდა უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის პროგრამის შესაბამისად შედგენილი სალექციო კურსი „ზოგადი და ქართული ქრონოლოგიის კურსი“. მის ავტორს, როგორც წიგნის ანოტაციამა აღნიშნული, წიგნზე მუშაობისას გათვალისწინებული აქვს ამ საგნის სწავლების 40-წლიანი გამოცდილება.

გ. მჭედლიძემ მონოგრაფიულად შეისწავლა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სიმონ ფაქურაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა. 1975 წელს მეცნიერის დაბადებიდან 80 წლისთავზე ცალკე წიგნად გამოცემულ აღნიშნულ ნაშრომს („ქართლის ცხოვრების მოქმედებაზე“) ქართული საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდა. უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი დღემდე რჩება კლასიკურ ფილოლოგიის ქართული სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ქართველოლოგთა არაერთი თაობის აღმზრდელის ყველაზე ვრცელ ბიოგრაფიად.

გ. მჭედლიძემ თავის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო იმ უმაღლესი სასწავლებლის ისტორიის შესწავლას, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტია მოღვაწეობს, როგორც ლექტორ-მასწავლებელი. 1985 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებიდან 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გ. მჭედლიძის თანაავტორობით გამოცემული წიგნის („ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი — 50“, 290 გვ.) თითქმის ორი მესამედი გ. მჭედლიძის დაწერილია. მისივე ავტორობით დაიბეჭდა ბუკლეტები — „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი (1933-1983)“ (ქუთ., 1983, 46 გვ.), „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე, 1998, 40 გვ.) აგრეთვე

სტატიები გაზეთ „ქუთაისის“ ფურცლებზე. ქუთაისის პირველი უმაღლესი სასწავლებლის ისტორია და დღევანდლობა შედარებით სრულიად არის გადმოცემული აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მე-80 წლისთავზე დაბეჭდილ წიგნში (თანავტ. იმერი ბასილაძე). მასში ავტორთა მიერ უნივერსიტეტის 80-წლიანი ისტორიის პერიოდშიცაა შემდგომარად არის წარმოდგენილი: ქუთაისის პირველი უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნება-დამკვიდრების პერიოდი (1933-1941), ფაშის-ტურ გერმანიასთან ომის და ომისშემდგომი ადგილის ხანა (1941-1958), ქუთაისის პედინსტიტუტი 1958-1990 წლებში, უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭების მომდევნო პერიოდი (1990-2013). უმაღლესი სასწავლებლის წარსულის მოკლედ გადმოცემას ისახავს მიხნად აგრეთვე გ. მჭედლიძის, გ. გაბუნიასა და პ. ვაჭრის თანაავტორობით 2000 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი — „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიად“.

1993 წელს გამოქვეყნებულ 546-გვერდიან მონოგრაფიაში — „ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები“, ავტორი შეეცადა გადაჭრით უარყო ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მანამდე დამკვიდრებული კვლევის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია და კონცეპტუალური თვალსაზრისით, „ახლებური აზროვნების შუქნი“ (ჯ. ოდიშელისა და ლ. სანიკიძის სიტყვებით) გადმოეცა ქუთაისის ისტორიის სრულიად შეუსწავლელი პერიოდი (1892-1921 წწ.). მონოგრაფიაში თავმოყრილი მასალა სამეცნიერო მიმოქვეყნებაში მკვლევრის მიერ პირველადაა შემოტანილი და გაანალიზებული. „ნარკვევებში“ დიდი ადგილი ეთმობა კულტურის ისტორიის საკითხების კვლევას და გადმოცემას. ქუთაისი ხომ ყოველთვის და, განსაკუთრებით, XX ს-ის I მეთხედში იყო ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ეპოქის ისტორიული გეოგრაფიის, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის ვრცელი მიმოხილვა მოცემულია მონოგრაფიაში — „ბაგრატი მე-სამის საქართველო“. წყარომცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზისით, ფაქტოლოგიური მასალის სიუხვით, გამოკვლეულ პრობლემათა მრავალფეროვნებით გამოჩენილი ეს საუტაპო მნიშვნელობის წიგნი ეძღვნება დიდ მეფე ბაგრატს (978-1014) და მის მიერ ქუთაისში ღვთისმშობლის მიძინების სახეზე აგებულ და საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ წარმოსახულ ტაძარს. ნაშრომში გადმოცემულია არა მარტო ბაგრატის ტაძრის, არამედ X საუკუნის ქართულ საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობათა ხელოვნებამცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ასპექტები. მონოგრაფიაში, შესაძლებლობის მიხედვით, ვრცელად არის განხილული ქართული ეკლესიის ისტორიის რიგი კარდინალური საკითხი. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემებსაც, ვინაიდან მათი არასწორი ინტერპრეტაცია დღესაც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აფხაზთა და ოსი სეპარატისტების მიერ ხელყოფის საფუძველს.

გ. მჭედლიძემ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის შესახებ ვრცელი მონოგრაფია გამოაქვეყნა 1999 წელს. ესაა წიგნი — „ისტორიის უდისტანციოდ“. ავტორი შეეცადა ობიექტურად გამოეკვლია, შეეფასებინა და გადმოეცა საქართველოში 1988-1995 წლებში განვითარებული მოვლენები და პროცესები. ამ ურთულეს საქმეს პროფ. გიორგი მჭედლიძემ თავი ილად გაართვა. „ვეფხისტყაოსნის“ კანდიდატად არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, რომ ეს წიგნი გათვლილია მომავალი თაობებისათვისაც. დროის გასვლასთან ერთად მოვლენ ისტორიკოსების ახალი თაობები, ჩვენს მდევარე ეპოქაზე შეიქმნება ნარკვევები და მონოგრაფიები, მაგრამ დიდად სათუთა, რომ მაინცდამაინც იმ შვიდ წელს დაწერილი, რომელსაც ეს წიგნი ეძღვნება, ასე დაწვრილებული თხრობა კიდევ ვინმე გაიმეოროს“, — აღნიშნავს მონოგრაფიის წინათქმამში მკვლევარი. შეუძლებელია არ დავუთანოთ მას: „მაინცდამაინც იმ შვიდ წელს დაწერილი“, შეიძლება თამადად ითქვას, რომ უკანასკნელ ოცწლეულში უფრო სრულყოფილი მონოგრაფია არავის გამოუცია.

საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქიის ისტორია მო-

ნოგრაფიულადაა შესწავლილი წიგნში — „ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა)“ (574 გვ.). 2008 წელს გამოცემული აღნიშნული წიგნის ძირითადი ნაწილის ავტორი გ. მჭედლიძე, ხოლო IV თავის IV. 3 პარაგრაფის ავტორი და დანართის (ორივე 62 გვ.) შემდგენელი ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი მერაბ კეჭევიძე გახლავთ. როგორც მონოგრაფიის ანოტაციამა აღნიშნული, „საკუთრად ქუთაის-გაენათის საეპისკოპოსოს ისტორიის ფაქტოლოგიურ მასალასთან დაკავშირებით, განხილულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის ისეთი პრობლემებიცა, როგორცაა: დასავლეთ საქართველოს ეპარქიების კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოსვლის, აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნის, ვერსში ქართული სალიტურატურო ენის გავრცელების, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და სხვ. საკითხები... მონოგრაფიაში, წყაროთა სიმცირის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქუთაისისა და გელათის ეპარქიების სათავეში მყოფი გამოჩენილი სასულიერო პირების (ევედემონ ჩხეტიძის, ზაქარია ქვარაიის, იოსებ ბაგრატიონის, დავით წერეთლის, გაბრიელ ქიქოძისა და სხვ.) ბიოგრაფიებისა და მოღვაწეობის ორიგინალურ გადმოცემას“.

2003 წელს გამოვიდა გ. მჭედლიძის მცირე ფორმატის წიგნი „საერთო ნიდაგის თეორიის საკითხები ილია ჭავჭავაძის ნაწარევი“ (82 გვ.), ხოლო 2004 წელს — „გელათის მეცნიერებათა აკადემია - ისტორია და დღევანდლობა“ (194 გვ.).

გიორგი მჭედლიძე წლების მანძილზე აქვეყნებდა პუბლიკაციებს ჟურნალ-გაზეთებში. მათ ერთ ნაწილს, კერძოდ, წერილებს გამოჩენილ ადამიანებზე, და წიგნებისა და თეატრალური დადგმების რეცენზიებს, მკვლევარმა ერთ კრებულში მოუყარა თავი და 2012 წელს ცალკე წიგნად გამოცა (იხ. „წერილები გამოჩენილ ადამიანებზე, რეცენზიები“). 2013 წელს გამოვიდა მონოგრაფია „ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იანი წლებამდე“, რომლის რედაქტორი და ერთ-ერთი ძირითადი ავტორი სწორედ ბატონი გიორგი გახლავთ. აღნიშნულ წიგნში, ქუთაისის მნიშვნელობისა და ადგილის გათვალისწინებით, არსებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის, აგრეთვე საარქივო მასალების მოშველიებით გადმოცემულია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, საეკლესიო და კულტურული ცხოვრების მთლიანი სურათი.

ამ მრავალფეროვან საქმეს შეიძლება დაემატოს ისიც, რომ ბატონ გიორგის ხელმძღვანელობით დაცულია 10-ზე მეტი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია საქართველოს ისტორიის მიმართულებით.

დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა: „ადამიანი იმისთვის არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამოს იმით, რომ კაცურ კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი“.

კაცობა ტყეადა ცნებაა და სიკეთისა და ჭეშმარიტებისადმი ერთგულებით ცხოვრებას ნიშნავს. ჩვენს გულწრფელობაში, ვფიქრობთ, ეკვი არავის შეეპარება, თუკი ვიტყვი, რომ ბატონ გიორგი მჭედლიძის სახით მის ოჯახს, ქვეყანას, უპირველეს ყოვლისა, ერთისპირა, 3500-წლიანი ქალაქს, ჰყავს კარგი კაცი. კარგი ქართველი, თვალსაზრისით მეცნიერი და პედაგოგი.


ჩვენ, ამ წერილის ავტორები, აკადემიკოს გიორგი მჭედლიძის მოწაფეები ვართ. ჩვენ მისი ხელმძღვანელობით დავიცავით დისერტაცია. ეს გარემოება, ბუნებრივია, გვაკლდებულებს, რომ განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული გვაპოძრავებდეს ძვირფასი მასწავლებლის მიმართ.

მრავალრიცხოვან კეთილსმისურფელთა სახელით გულთკავთ ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა საუკეთესო წარმომადგენელს, ბატონ გიორგის, ღირსსახსოვარ თარიღს — დაბადებიდან 90-ე წლისთავს და ვუსურვებთ მხნეობას, შემდგომ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს სამშობლოს საკეთილდევად.

გიორგი მჭედლიძის ისტორიის დოქტორი

კახბერ ქეჭელაძე
ისტორიის დოქტორი,
ასოც.პროფესორი

3 უ ლ ო ც ა 3 თ !



ტექნიკურ მეცნიერებათა აკად. დოქტორს, ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს — **მურად ბერიძეს** 75 წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა ტყეხულის რაიონის სოფ. კურსებში, პედაგოგის ოჯახში. 1961 წ. წარჩინებით დაამთავრა კურსების საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, ფიზიკის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1968 წელს. ამავე წელს მოიწვიეს ფიზიკის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, შემდეგ უფროს ლაბორანტად, არჩეული იყო ფიზიკის კათედრაზე ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, კათედრის დოცენტად. 1982-87 წლებში სწავლას აგრძელებს ქ. მოსკოვის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბლავონრაგოვის სახელობის მანქანათმშენებლის ინსტიტუტში, ვიბრაციული ტექნიკის განყოფილებაში, ჯერ სტაჟიორ-მკვლევარად, შემდეგ ასპირანტად, აღიშნულ პერიოდში მოაშხადა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: “შრავალფაზიან სისტემაში მასათა გაცვლითი პროცესების ინტენსიფიკაციაზე ვიბრაციული ზემოქმედების გამოკვლევა”, რომელიც დაიცვა ქ. კაუნასში ატანას სნეკუსის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. აღნიშნულმა საბჭომ მიანიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. იგი ავტორია 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, აქტიურ მონაწილეობას იღებს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში.

1992-2006 წწ. იყო შპს. ქუთაისის ჰუმანიტარული სავაჭრო-ეკონომიკური საერთო ინსტიტუტის რექტორი. 2003-2011 წწ. მუშაობდა ქუთაისის სამედიცინო ინსტიტუტში და კითხულობდა ლექციებს სამედიცინო ფიზიკასა და ბიოფიზიკაში.


მურად ბერიძე არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მურად ბერიძე სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად ფიზიკურ საქმიანობასაც ეწევა სოფლად. ეს არის კაცი, რომელმაც იცის დროის ფასი. ფუტკარივით შრომელს, წამითაც ვერ ნახავთ გაჩერებულს. მის დიდ ოჯახს კიდევ სჭირდება მისი მზრუნველი ხელი. იგი გახლავთ ღირსებული მეუღლე, მამა და ბაბუა. მურად ბერიძემ და მისმა მშვენიერმა მეუღლემ — ლეილა იმნაძემ სამშობლოს აღუზარდეს ორი შვილი. ჰყავთ 4 შვილიშვილი და 2 შვილიშვილი.

ბატონი მურადი კვლავ აგრძელებს მუშაობას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტში პროფესორად და უკავია ღირსეული ადგილი.

ჩვენი მურადი ადგილის დღეებში, აპრილშია დაბადებული, ამ თვიდან იწყება ჩვენში გაზაფხული — ბუნების განახლება. ეკლესიური კაცია, ნაღდი მართლმადიდებელი: მამას იოსები ერქვა, ღელას — მარიაში, გვარად კი ბერიძეა! მართალი, უტყუარი კაცია, საკმაოდ განათლებული, მაგრამ ზოგჯერ ავიწყდება ზალხური სიბრძნე — “სამართლის მიქმელ კაცს, ცხენი შეკანძული უნდა ჰყავდესო”, ცხენის შეკანძვასა და გამრუდებულ გზაზე ჭვინებას ჩვეული არ არის. მოგეხსენებათ “ფიზიკა” უცხო სიტყვაა და ბუნებას ნიშნავს, მურადიც ბუნების შვილია და მგზურად ფიზიკა აირჩია. დრო ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა და იუბილესაც მის მიხედვით ვუბნით ადამიანებს. 75 წელი იარა მურადიმ ამ წუთისთვის, თუ გაკეთვალისწინებთ, რომ ადამიანი 1 დღეში დაახლოებით 20 ათას ნაბიჯს დგამს, 75 წლის განმავლობაში ეს რიცხვი ნახევარ მილიონს აღწერს, რვაჯერ აღმატება დედამიწის ეკვატორის სიგრძეს და მიუარებლად მანძილს უტოლდება. გუსურვით ჩვენს მურადის — დაუღლებელ, მუხლჩაუხრელ კაცს, ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე, ახალი მანძილების დაპყრობა, ოჯახური სითბო და ბედნიერება, კოლეგებისა და მეგობრების პატივისცემა და სიყვარული.

ფიზიკის დეპარტამენტი

„არბანი და ყარსი“



ჩვენს თაროს კიდევ ერთი წიგნი შეემატა. „არბანი და ყარსი“ ჰქვია პუბლიცისტური და ისტორიულ-ლიტერატურული ჩანაწერების ამ კრებულს, რომლის ავტორები გახლავთ გასული წლის ნოემბერში თურქეთის რესპუბლიკის არტაანისა და ყარსის უნივერსიტეტებში მივლინებული დელეგაციის წევრები: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე შალვა კირთაძე, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე სულხან კუპრაშვილი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ლუკა დვალისძე და თურქოლოგი მზისა ბუსკიაძე.

ამ კრებულის გაცნობისას არაერთ საინტერესო საკითხს წავაწყდებით. უპირველესად კი ყურადღებას იპყრობს, თუ რამდენად იზრდება მოთხოვნილება ზემოთ ხსენებულ უნივერსიტეტებში ქართული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად, როგორ მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა, რაც თვალნათლივ გამოჩენილია იქაურ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას. ჩვენი დელეგაციის წევრებს სასწავლო ლიტერატურაც კი უსახსოვრებიათ მასპინძელ ბისათვის.

„არტაანისა და ყარსის“ მიზანი ამასთანავე გახლავთ თურქეთის რესპუბლიკის საუნივერსიტეტო პროგრამებზე ინფორმაციის მოწოდება, თუნდაც ორი უნივერსიტეტის ცნობარის შემოთავაზებით მზისა ბუსკიაძე ცხადად გვიჩვენებს, თუ რამდენად ფართო სპექტრია ამ სასწავლო დაწესებულებებში სპეციალობების, ცალკეული მიმართულებების. აქვე ვგებულობთ, რომ ყარსის უნივერსიტეტში 2006, ხოლო არტაანის უნივერსიტეტში 2013 წლიდან ამოქმედებულია ქართული ენის და ლიტერატურის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამები.

ამ თემას კიდევ უფრო ავრცელებს ლუკა დვალისძე და გვაწვდის ცნობებს, თუ რა ვითარებაა კიდევ ორ - რიზესა და დუზჯეს უნივერსიტეტებში, ამ უკანასკნელს მიმდინარე სასწავლო წლიდან ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით მაგისტრატურაც კი გაუხსნია.

სულხან კუპრაშვილი გვთავაზობს არტაანისა და ყარსის წარსულის დრამატულ ისტორიულ სურათებს. ეს წერილი და შალვა კირთაძის „ქართული ეკლესიები და ისტორიული ნაგებობანი არტაანის მხარეში“ მცდელობაა ჩვენი წარსულის განხილვისა, ვამთა უკუღმართობის გამო არაერთი საწუხარი დღემდე რომ გამოგვივლია და მწარედ ჩაგვაფიქრებს ხოლმე.

დიდებულია ავთანდილ ნიკოლეიშვილის „ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნარატივები“, რომელშიც უპირველეს ყოვლისა ყურადღება გამახვილებულია არტაანის ისტორიულ წარსულთან ერთად თანამედროვე თურქი ნობელიანტი მწერლის ორპან ფაშუქის რომანზე „თოვლი“ და გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სულის“ ამ რომანთან შეპირისპირებაზე. წერილების ამ ციკლში ბევრ საგულისხმო პასაჟს წავაწყდებით, უფრო კი ისეთ მახვილ აქცენტებს, სადაც სამართლიანად და პირუთვნელადაა თურქი მწერლის ზოგიერთი „თვითნებობა“ მხილებული, ასევე ის სხვადასხვაობანი, რითაც გამორჩეულია ორპან ფაშუქისა და გრიგოლ რობაქიძის რომანები. მინაგანი ცხოვრების თანამედროვე ეტაპებს მხატვრულ სახეობად წარმოგვიჩენს, იგონებს წარსულს, ბავშვობას:

„ჩემი ბავშვობა — დედა და მამა ხის ოდა სახლი, ვენახი, ბაღი, წიგნები ხელში და სიმარტოვე, ეს სიმარტოვე ცხოვრების დაი“. მაგრამ ამავე დროს მისი გული ჯიუტი ფეოქეთი ერკინება მომავალს და გრძნობს აწმყოს.

„...მაგრამ კვლავ მჯერა მიწვეული ღმერთი ჩემთვის რაღაცას გამოიმეტებს

მზისფერი ლექსები

ახლანაჲს გამოვიდა ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის ბეჟან ქუთათელაძის ლექსების კრებული „ნატვრა“. ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში მკითხველს მიმართავს: „ადამიანი მთელი ცხოვრება ნატვრაშია. ნატვრა სიყვარულის გარეშე არ არსებობს... სიყვარული დიდი ტკივილია... მთელი ჩემი ცხოვრება ნატვრაში, ტკივილსა და სიყვარულში გავატარე და თუ თქვენც, ნატვრის, სიყვარულისა და ტკივილის ერთ ნაპერწკალს მაინც იგრძნობთ ამ წიგნში, ძვირფასო მკითხველო, უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნები“.

„შვიდფერი მუხის“ სტუმრობა პოეტიკის ტკბილი სიზმარია, რომელსაც შეუძლია დააცხროს მის სულში აბობქრებული ქარიშხალი. ამ დროს პოეტი, მიწასა და ცას შუა ხილად გადებული, თავისუფლდება ყველა ჩარჩოსგან, მარტო რჩება საკუთარ სინდისთან და სურვილი აქვს ერთხელ მაინც იგრძნოს ამორფულობა, ვეღარ უძლებს ყოველსიმომცველ სიცარიელეს, სიზიფეს ლოდივით რომ აწვევს ხერხემალზე, ტკივილამდე უნდა ვინმეს გაენდოს და მოაქვს ნატვრიდან და სიყვარულიდან გადმოღვრილი მზისფერი ლექსები ჩვენთვის.

ბეჟან ქუთათელაძის პოეზიაში აღმოცენების, ყოფნა-არყოფნის მთელი მნიშვნელობაა გაანზრებული, ქვეყნად მოსვლის მისტერია, რომელიც ადამიანის დანიშნულების არსს გვიჩვენებს.

„ისე არ უნდა წახვიდე ქვეყნიდან უნდა ფიქრობდე, რა შექმნი სარგებელი, მამინ ცოლვა ხარ თუ არ გაარკვიე შენი სახელი საქებელი“.

მის ლექსებში კარგად იკითხება პოეტის შინაგანი სამყარო, იგრძნობა მისი დამოკიდებულება ყოფიერებისადმი, გვარწმუნებს რომ ის ჭკმშიატი ქართველია თავისი შეგრძნებებითა და განცდებით. შინაგანი ცხოვრების თანამედროვე ეტაპებს მხატვრულ სახეობად წარმოგვიჩენს, იგონებს წარსულს, ბავშვობას:

„ჩემი ბავშვობა — დედა და მამა ხის ოდა სახლი, ვენახი, ბაღი, წიგნები ხელში და სიმარტოვე, ეს სიმარტოვე ცხოვრების დაი“.

მაგრამ ამავე დროს მისი გული ჯიუტი ფეოქეთი ერკინება მომავალს და გრძნობს აწმყოს.

„...მაგრამ კვლავ მჯერა მიწვეული ღმერთი ჩემთვის რაღაცას გამოიმეტებს



არ მემშინა ჭვება—ქუხილის, გულში ზეალის დღე დაისადგურებს“.

პოეტის გული, უპირველეს ყოვლისა, აღსარებაა, ზმანებაა, სიყვარული კი იგივე შეცნობაა.

საშობლო მისთვის ყველაზე მაღალი ღირებულებაა, ტკივილია, სიყვარულია, ნატვრაა, ღირსებაა. ის მზადაა მამულისთვის დასადგურელი სისხლი დაღვაროს და მისი ამ ქვეყნად არსებობის ადამიანური არსი შეიცნოს.

„შენ ჩემო სისხლო, ჩემო მამულო, გული საგულეს როგორ გაცივდეს, მზადა ვარ მე შენს საწინამურედ, ოღონდ ყოველი ჭირი აგცილდეს“.

მკითხველს გულგრილს ვერ დატოვებს ქართველი პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები. ბეჟან ქუთათელაძე კრძალვით ენმანება გალაკტიონს, ბართაშვილს, ლალო ასათიანს.

გადამღებია პოეტის სულიერი განცდა, ესთეტიზმი, სიწმინდე. გირჩევდით დაემგზავრეთ მას სასიტყვეთში, სიყვარულის, ტკივილისა და ნატვრის საუფლოში.

თამარ გუმბერიძე

კია ზოფერია

გურამ გაბუნია



ჩვენმა უნივერსიტეტმა კიდევ ერთი დიდი დანაკლისი განიცადა. 2018 წლის 8 აპრილს, აღდგომა დღეს გარდაიცვალა ისტორია - არქეოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი გურამ გაბუნია. გურამ გაბუნია დაიბადა 1935 წელს ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა VI საშუალო სკოლაში. 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიის სპეცია-

ლობით. 1958-1960 წლებში მუშაობდა საზოგადოება „ცოდნას“ ქუთაისის საქალაქო განყოფილებაში. 1960 წლის მარტიდან მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ დაუსწრებელი განყოფილების მეთოდისტის შემდეგ კი უფროსი მეთოდისტის თანამდებობაზე. 1970 წლიდან გურამ გაბუნია იყო საქართველოს ისტორიის კათედრის მას-

წავლელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი და პროფესორი. 2014 წლიდან ემერიტუს პროფესორი.

ბატონი გურამი სხვადასხვა დროს, შეთავსებით, ასრულებდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის უცხოური ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსების გამგის (1962-1964), ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის (1973-1985), უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილების კონსულტანტის (1994-1995) მოვალეობას.

1993 წლიდან გურამ გაბუნია სათავეში ჩაუდგა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსებულ ქუთაისის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს, რომლის შექმნის ინიციატორიც თვითონ გახლდათ და ინსტიტუტის დირექტორი იყო 2005 წლამდე. ქუთაისის ისტორიის შემსწავლელმა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა პროფესორ გურამ გაბუნიას ხელმძღვანელობით ჩაატარა მრავალი საუნივერსიტეტო, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობასღებულნი არიან საქართველოს მასშტაბით აღიარებული ისტორიკოსები.

გურამ გაბუნია არჩეული იყო რამდენიმე, მათ შორის - ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ამავე უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოების წევრად. თავმჯდომარეობდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს. იყო სოციალურ მეცნიერებათა სადისერტაციო საბჭოს ისტორიის სექციის ხელმძღვანელი და საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის თანახლომდგანელი.

გურამ გაბუნია იყო ათეულობით სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიების ავტორი. მან თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის უმთავრესი ნაწილი მიუძღვნა მისი მშობლიური ქალაქის - ქუთაისის ისტორიის კვლევას. ბატონი გურამის მონოგრაფიები: „ქუთაისი და

ქუთაისის ქვეყანა“, „ასე იწყებოდა დიდი საქართველო“, „საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI საუკუნის დასაწყისში“, „უძველესი ვერის კოლხური და ზოგად ქართული პრობლემატიკიდან“ ქუთაისზე და საქართველოზე უზომოთ შეყვარებული ადამიანის შემოქმედებაა. ამავე დროს გურამ გაბუნიას სამეცნიერო კვლევებმა დიდი როლი ითამაშეს ფეოდალური ეპოქის დასავლეთ საქართველოს ისტორიის პოპულარიზების საქმეში.

საქართველოს ისტორიის სიყვარულს ემსახურებოდა ისიც, რომ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ბატონმა გურამმა მეგობრებთან ერთად დაარსა „დავითიანელთა საზოგადოება“, რომლის თავკაციც თვითონ გახლდათ.

გურამ გაბუნია უპირველეს ყოვლისა უნივერსიტეტის ერთგული თანამშრომელი იყო. ის თავის თანამოაზრეებთან ერთად იყო ინიციატორი ჩვენს უნივერსიტეტზე აკაკი წერეთლის სახელის მინიჭებისა. უნივერსიტეტის ისტორიას მან მონოგრაფია მიუძღვნა. ყველა მისმა ახლობელმა იცოდა ბატონი გურამის ერთი რიტუალის შესახებ - სასწავლო წლის დაწყებისას იგი ყოველთვის ეამბორებოდა უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ქვას და ამით გამოხატავდა სიყვარულსა და მადლიერებას მისი ალმა მატერის მიმართ. ბატონი გურამი გახლდათ შესანიშნავი ლექტორი, ერთგული მეგობარი, შესანიშნავი ოჯახის მეთაური, დიდი და გამორჩეული იუმორის მქონე პიროვნება. მისი მხიარული გამონათქვამები ახლაც ფრთიან ფრაზეზად დადის უნივერსიტეტში.

პროფესორ გურამ გაბუნიას გარდაცვალებით საქართველომ დაკარგა ერთგული პატრიოტი, ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებამ მრავალმხრივი მკვლევარი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დირსეული პროფესორი, მისმა ოჯახმა კი დიდებული მეუღლე, მამა და ბაბუა.

ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის საქართველოს ისტორიის მიმართულეა

მულტიპლ ისტორიის გაღმავალი გზისკენ

თანდათან უფრო ხელშესახებად ვგრძნობ წელთა უმოწყალო სრბოლას, რომელმაც უადლოვოდ მრავალი სასიამოვნო მოგონება დამიგროვა, თუმცა სევდაც უფრო და უფრო მეტი მოიჭანა.

ცოტა შორიდან მინდა დავიწყო. ბატონ გურამს „თინეიჯერობის“ ასაკიდან ვიცნობდი და თითქმის უწყვეტად მქონდა მასთან ურთიერთობა. ადრე მასზე მხოლოდ მსმენოდა, შემდგომ, აბიტურიენტობისას, მასთან ხანმოკლე რეპეტიტორიუმი გავიარე, შემდგომ კი, სტუდენტობა. ჩემთვის 1980-იანი წლების ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი მაშინდელი დეკანის მოადგილის - ბატონ გურამ გაბუნიას გარე-

შე უბრალოდ ძნელად გასახსენებელია. მახვილი იუმორით აღსავსე, მუდმივად ელეგანტური ბატონი გურამი მუდმივად სტუდენტების გულშემატკივარი და საიმედო შუამავალი გახლდათ როგორც ლექტორებთან, ასევე, დეკანთან, ბატონ პეტრე ვაჭრიძესთან. შემოქმედებითი აქტიურობით დატვირთულ ჩემი თაობის სტუდენტობას კი ხშირად ესაჭიროებოდა ასეთი მხარდაჭერაც და დახმარებაც, რომ ერთუხიანში და სურვილი არ გაექრო მომბეზრებელ ყოველდღიურ შრომას, 20 წლის გოგო-ბიჭებისათვის ამასთან გამკლავება არცთუ ისე იოლი იყო. ჩვენც მას უფრო ვეთამამებოდით და მივმართავდით, ისიც გულდასმით მოგვისმენდა, ჩვენს გასაჭირს იუმორით შეაზავებდა და გამო-

სავალს შემოგვთავაზებდა.


ბატონ გურამთან ამ დროიდან მოკიდებული ყოველთვის თბილი ურთიერთობა მქონდა, არაჩვეულებრივი მოსაუბრე უნივერსიტეტის ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ისტორიას დაატარებდა გულითა და მეხსიერებით, ბევრი რამ მსმენია მისგან, არ გამოეპარებოდა უნივერსიტეტში მომხდარი საყურადღებო თუ ნაკლებმნიშვნელოვანი მოვლენები, საგულდაგულად მომიძიებდა ინფორმაციას, აღსუსხავდა, ჩაიწერდა, მიმდინარე პროცესაც ისტორიკოსის თვალთ უყურებდა. „ბოლოს ყველა ჩემი დასაბინავებელი ხართ,“-მეტყოდა მისთვის დამახასიათებელი დიმილით. ამ გადასახედიდან აფასებდა ყველაფერს მის ირგვლივ, თავისი ქვეყნისა და ქუთაისის

განსაკუთრებულ გულშემატკივარს არაერთი იდეა ჰქონდა ჩვენი უძველესი ქალაქის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით.

ბატონი გურამი თავისი ცნობიერებით იყო ისტორიკოსი, რომელიც ყოფიერებას მუდმივად მარადიულობის გადასახედიდან უმზერდა და აფასებდა, რადგან უნდოდა პირნათელი ყოფილიყო თავის ქვეყანასთან და შთამომავლობასთან. უნივერსიტეტის (ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტის) ისტორიის ერთ-ერთი ავტორი, დღეს უკვე თავადაც ამ ისტორიას შეუერთდა და მოგონებებსა და წიგნებში გააგრძელა სიცოცხლე.

ნესტან კუტივაძე

პროფესორ პერნერ ხელნაწილის ხსოვნას



გარდაიცვალა საქართველოს დიდი მეგობარი, ქუთაისის საპატო მოქალაქე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატო დოქტორი, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი დრ. ვერნერ კელერი.

პროფესორი ვერნერ კელერი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერ-გერმანისტი, დიდი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე იყო. მასში გასაოცრად იყო შერწყმული დიდი ჰუმანიზმი, ადამიანებზე ზრუნვა, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პოლიტიკური ფაქტებისა და მოვლენების ზუსტი განჭვრეტა და, ამავედროულად, ყოველდღიური პრაქტიკული და მეცნიერული შრომა. ეს იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო ბავშვებით აღფრთოვანება, სილამაზით ტკობა და, ამავედროულად, სიმკაცრე და უკიდურესი მომთხროვნელობა მუშაობის პროცესში.

განსაკუთრებული იყო პროფესორ კელერის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, რომელსაც თავის მეორე სამშობლოდ მიიჩნევდა. ასევე გამორჩეულად ზრუნავდა იგი საქართველოში გერმანის-

ტიკის სკოლის გაძლიერებისათვის. 1990 წლიდან ხელმძღვანელობდა პროფესორი კელერი გოეთეს საერთაშორისო საზოგადოებას ქ. ვაიმარში და იყო პირველი პრეზიდენტი, რომელმაც საგანგებო ყურადღება დაუთმო ახალგაზრდა გერმანისტი მეცნიერების დასახმარებლად თანხების მოზიდვას.

განსაკუთრებულია პროფესორ კელერის ღვაწლი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანისტიკის სპეციალობის სტუდენტთა და მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. ვაიმარსა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრებში მივლინებულმა ახალგაზრდებმა წარმატებით დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები, მაგისტრანტებმა თავიანთი სამაგისტრო შრომები. მათი მგზავრობა და მრავალთვიანი მივლინებები გერმანიის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში ფინანსურად სრულად უზრუნველყოფილი იყო გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

პროფესორ კელერის უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით ქუთაისის უნივერსიტეტის გერმანისტიკის განყოფილებამ მჭიდრო კონტაქტები დაამყარა გერმანულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (DFG, DAAD). ყოველივე ამან განაპირობა წლების განმავლობაში ძვირადღირებული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის უფასოდ მიღება, სამეცნიერო კრებულების გამოცემა გერმანულ ენაზე („გოეტჰე-თაგე“, 10 ტომი, 2008-2017 წწ.). პროფესორი კელერის დამსახურებით გერმანისტიკის დეპარტამენტს DAAD-ის დაფინანსებით ათწლიანი პარტნიორული ურთიერთობა ჰქონდა პადლეგერის უნივერსიტეტთან: გერმანული პროფესორები წლების განმავლობაში

კითხულობდნენ ლექციებს გერმანისტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის, გერმანისტიკის დეპარტამენტის პროფესორები და დოქტორანტები თვეების განმავლობაში მუშაობდნენ სამეცნიერო თემებზე გერმანიის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში.

ხაზგასმით აღსანიშნავია პროფესორ ვერნერ კელერისა და მისი მეუღლის, ქ-ნ მეკტილდ კელერის საქველმოქმედო საქმიანობა ქუთაისში: 1997 წლიდან ისინი და მათი მეგობრები უანგაროდ ეხმარებოდნენ ქუთაისის „მადლიერების სახლის“ უმწეო და ინვალიდ მოზუც ადამიანებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ლოგოკურია, რომ პროფესორ ვერნერ კელერს ქუთაისის საპატო მოქალაქეობის ტიტული და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატო დოქტორის წოდება მიენიჭა.

პროფესორ ვერნერ კელერის მეცნიერული კვლევის ძირითადი საგანი გოეთეს შემოქმედება და გერმანული კლასიკური ლიტერატურა იყო. იგი ავტორია ფუნდამენტური კვლევებისა თანამედროვე გერმანული ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებზე - უმთავრესად ლირიკისა და დრამის სფეროში. იგი მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი და სამაგალითი პედაგოგი იყო.

საკუთარი სამშობლოს, გერმანიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის პროფესორ ვერნერ კელერს მიენიჭა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ღირსების ორდენი (Vერდიენსტორდენ დერ ბუნდესრეპუბლიკ Dეუტსკლანდ — ბუნდესვერდიენსტურეუხ).

პროფესორი ვერნერ კელერი ჭეშმარიტი „გერმანული სულით“ აღსავსე პიროვნება იყო, რომელიც მუდამ საქმით აღას-

ტურებდა ჩვენს ქვეყანასთან მეგობრობას. ქუთაისის საპატო მოქალაქის წოდების მინიჭებისას მან აღნიშნა: „საქართველო ევროპის ინტეგრალური ნაწილია, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ევროპის ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. რაც უფრო ხშირად ვკითხულობ პაინც ფენრიჰის წიგნს საქართველოზე, მით უფრო სავიარაღო ხდება ჩემთვის თქვენი სამშობლო. ევროპის ხალხთა ერთიანი კავშირის შექმნით ჩვენ მოვემართებით თქვენსკენ, ისევე როგორც თქვენ მოემართებით ჩვენსკენ. ამ გზაზე თქვენ მოგაქვთ უმდიდრესი ისტორია, რომელიც კოლხეთისა და მედიას შესახებ არსებული თქმულებებით უკან, მითიურ დროებში გვაბრუნებს. როგორც თქვენი ქალაქის საპატო მოქალაქე, თქვენთან ერთად (და იქნებ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერ თქვენს მოქალაქეს) მწამს, რომ თქვენი ქვეყნის მომავალი იქნება თქვენივე წარსულის ღირსეული მემკვიდრე. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მას სათანადო ძალები აქვს, რომ ამ ძველ ვითარებას გაუძლოს. თქვენს ქვეყანას შეუძლია ისე განვითარდეს, როგორც ეს მისი ხალხის ინტელექტს, ნებასა და სულს შეეფერება, მაგრამ ყველაფერი ეს საჭიროებს უსასრულო გარჯასა და დაძაბულობას, ზომიერებასა და პასუხისმგებლობის გრძობას“.

ვისურვებდი, რომ საქართველოს მართლ პყავდეს მეგობრად პროფესორ ვერნერ კელერის მსგავსი ადამიანები!

პროფ. ნანული კაკაურიძე
გერმანული ფილოლოგიის
დეპარტამენტი

ღალი ფანჯიიძე



ღალი ფანჯიიძეს ჩემი თაობა ბავშვობაში იცნობდა, როგორც „ბუნდებროკების“ მთარგმნელს. მან შეგვახვდა გერმანული ენის არმცოდნე ახალგაზრდები თომას მანის ჯადოსნურ სამყაროში. შემდეგ, როცა სტუდენტები გავეხდით, როცა ვსწავლობდით გერმანული ენასა და ლიტერატურას, ქალბატონი დალის მიერ თარგმნილი თომას მანის, გოეთეს, მაქს ფრიშის, ჰერმან ჰესესა და უკრიხ პლენცდორფის ნაწარმოებები ჩვენს სამაგისტრო წიგნებად იქცა, მისი სამეცნიერო ნაშრომები თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში — ჩვენს გზამკვლევადა. კიდევ უფრო ახლობელი გახდა დიდი მთარგმნელი და მეცნიერი, როცა მოკრძალებული ნაბიჯების გადადგმა დავიწყეთ მეცნიერებაში. განსაკუთრებული პატივი იყო ჩვენთვის გერმანისტიკის დიდ კორფეკტთან სტუმ-

რობა და გერმანისტიკის პრობლემურ საკითხებზე საუბარი.

გვსმენოდა, ღალი ფანჯიიძე მკაცრი ოპონენტიაო და მოკრძალებას შიშშიც ემატებოდა, როცა იგი ჩემი და ჩემი მეგობრების ოპონენტად, რეცენზენტად ან ექსპერტად ინიშნებოდა. შიში პასუხისმგებლობის გრძობას გვიძლიერებდა. ასე ვეჩვეოდით თავდაუზოგავ შრომას. ქალბატონი ღალი ნამდვილად იყო მკაცრი, კომპეტენტური და სამართლიანი შემფასებელი და, ამავედროულად, ნიჭიერებისა და შრომის დამფასებელი.

შემდგომში, როცა ჩვენთვის გერმანისტიკის კარი გაიღო და შესაძლებლობა მოგვეცა სამეცნიერო კონფერენციებზე ქალბატონ დალისთან ერთად მონაწილეობა მიგვევლო საქართველოში თუ საზღვარგარეთ, კვლავ გვეძლიერებდა შესაძლებლობა მისგან გვესწავლა, დავახლოვებოდით. მაშინ აღმოვაჩინეთ სხვაგვარი ქალბატონი ღალი. არა ისეთი მკაცრი, როგორც დისერტაციის დაცვის დროს, არამედ თბილი, მოსიყვარულე, მზრუნველი.

უდიდესი მადლიერების გრძობით ვუსამძიმებთ ქალბატონი დალის ოჯახს, ჩემს კოლეგებსა და მის აღზრდილ თაობებს დიდი მთარგმნელისა და მეცნიერის გარდაცვალებას!

ნუგეშა გვინიძე

გერმანული ფილოლოგიის
დეპარტამენტის სახელით

ჩხენი ზიზი



რა მალე გაიბრინა დრომ, თითქოს გუშინ იყო, რომ მხიარული, გადიმებული შემოაღებდა დეპარტამენტის კარებს, ხელის აწევით მოგვესალმებოდა და იტყოდა: „მოვედი, გოგოებო!“

ზიზი იყო კეთილი, თავაზიანი, მეგობრული, ადამიანთა მოყვარული. მისი უნივერსიტეტში მოსვლა ყველას დიდ სიხარულს გვანიჭებდა, არაჩვეულებრივი დამოკიდებულება ჰქონდა თავის სტუდენტებთან, რომლებიც მას ძალიან აფასებდნენ და ზიზიც ასევე მიაგებდა ზრუნვასა და სიყვარულს.

თითქმის სამი ათეული წელი კითხულობდა იგი ლექციებს პედაგოგიური ფაკულტეტის დაწყებითი განათლების სპეციალობაზე რუსულ ენასა და მის სწავლების მეთოდოლოგიაში. იგი ისეთივე გამორჩეული პიროვნება გახლდათ, როგორც იყო მეტრეველთა ოჯახში.

მისი დედა — ქალბატონი ნინა ლევიძე და მამა — ოთარ მეტრეველი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდნენ. ქუთაისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფონს ქმნიდნენ, მათ აზრს პატივს სცემდნენ. ისინი ნამდვილი ინტელიგენტები იყვნენ და ამ ოჯახიდან გამოსული შვილიც არ შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო.

ზიზიმ არაჩვეულებრივი მეგობრობა იცოდა. არ არსებობდა, რომ პიროვნებაში ცუდი ეთქვნა, უყვარდა გაჭირებულთა გვერდით დგომა, მას საკუთარი ოჯახი არ ჰქონდა, მაგრამ უდიდეს სიბიძესა და სიყვარულს მიაგებდა მისი ძმის—ოთარის შვილებსა და შვილიშვილებს.

ზიზი მოულოდნელად გახდა ავად. რა არ იღონა მისმა ოჯახმა, თითქმის შეუძ-

ლებელს აკეთებდნენ, სასწაულს ელოდნენ, მაგრამ სასწაული არ მოხდა. სიკვდილის ცელი ჩასაფრებულყოფი მის სარეცელთან და კიდევ იხეიმა უძლეველმა სიკვდილმა.

ზიზი მეტრეველმა ლამაზად იცხოვრა, დიდი სიბიძე და სიყვარული დატოვა და გადასახლდა იმიერში.

მისი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

უფალმა ნათელში ამყოფოს .

ლილია აბზიანიძე
მადონა ნიყარაძე



ნუგეშა გაგნიძე

ნუგეშა გაგნიძე დიდებული მკვლევარი რომ გახლავთ, კარგა ხანია ცნობილია. არაერთი გერმანელი მწერლის მისეული თარგმანებისთვისაც მიგვიქცევია ყურადღება. ნერს ღეჭებს, მოთხრობებს. მშვენიერი პროზური კრებული აქვს გამოცემული. თავისებური ხიბლი აქვს ნუგეშა გაგნიძის ღეჭებს, სიყვარულისა და სინანლის გამოძევები ხიბლი, რაც შესაძრევ თავისებურებად ირეკლება, სამსახოვროს ქმნის მის დირიკურ ნაკადებს...

ოქროს თევზები მფრთხალები, ფრთხილები, იმალებიან ტბაში. უჭირთ დამალვა ლამაზებს, ზურგები უბრწყინაოდ დარში. წვიმა ეპყურებათ ავღარში, ქარი გადახდით საბანს, მწვანე სახურავს გადახდის ტბას უძიროს და ზარმაცს. ცბიერი ქარი მრავალ ტყეულს ეტყვის ოქროს თევზებს და ტბასაც, დაუჯერებენ, უნდათ სიცოცხლე, მიენდობიან სწრაფად. ოქროს თევზები მფრთხალები, ფრთხილები ...

წვიმის წვეთებად დაღვრილმა დღემ, ცივმა სიშიშვლემ და ზამთრის სურნელმა უარყო სიჭრელე უცებ შემოდგომის. დაღლილმა მზემ ძილი განაგრძო და საღვაც მიაგლო ოქროცურვილი სამოსი მისი... ამათა ცეცხლისფერ ფოთოლთა თავგანწირული ბრძოლა, წყალს მიაქვს ღონემიხილთა და სასოწარკვეთილთა ფარული ოცნებები...

ახალი ვარიაცია თემაზე „გაზაფხული“

ჩემს ეზოში გუშინ აყვავილდა მსხალი, შეეპარა გულში სიყვარულის ალი. დღეს კი ქარმა გაუფანტა ოცნებები ძველი, და მინდორზე გააფინა მისი კაბა თეთრი. ნორჩი მწვანე გახალისდა, აეშალა ვნება, გულში იკრავს თეთრ ყვავილებს ... ვერ გაატანს ყველას გაზაფხულის სიოს. ვარდ-ყვავილებს ეფერება, აერია თავ-გზა. თან სიყვარულს ეფიცება ჭიმკართან მდგომ ატამს. დღეს ტყემლებმაც იხალისეს, დაიბერტყეს კალთა, სურნელი სწვდა განახლების, დაწვშიფარკლულ ცასაც.

ღამე გმინავდა ტალღების თავზე, ზეცას სცივოდა ცრემლების წვიმა.

... და გაიღვიძა დილით მზე ქალმა, ყვითელის სურნელი ზღვიდან აცურდა, ფირუზის ფერმა გული გაუთბო და განთიადი კვლავ ახმაურდა.

თავგზაარეული ლურჯი ფანტელები ძველი ღუქების კარებთან სხდებოდნენ.

თოვდა და თოვდა და „მწარე და ძვირფასი“ „თრობის საათი“ კვლავ უძლებდა ღამეს. და ღვინისფერად არეული მღუმარე ზეცა უცქერდა დიდხანს „იისფერ თოვლის ხიდიდან ფენას“ ...

ზაფხული 2014

ზაფხულის მზემ გადაწვა ტყე, ყვითელი აჩუქა მთებს! ქარმა გაუღვდა საკინზე ველს, ცრემლი აღინა დრუბელს! დღეს, ღამეს, ცას, მიწას... დარდი გაუჩნდა სხვას კიდევ ბევრს! მე, შენ, მას, ზღვას, მზეს და ცას, ნაცრისფერ გულისთქმას, ათასფერ ზვატს და დამსხვრეულ წამს მზის მხურვალეობა წვაკვს!

ძველი ახალი წელი

ჩემი ახალი წელი ფერადი, სულ ჩემი, ალუბლისფერი ოცნებებით და ვაშლის ღვეხელის სურნელით. ეს ჩემი ახალი წელია, მოგონებებით, დაგრეხილტანიანი ზამთარს გადარჩენილი ფერადი ვარდებით, სურნელოვანი ვარდებით, მოგონებებით ... მოგონებებით ბებიას ბუხარში გვერდებდაბრაწული მჭადების სურნელით, მოგონებებით გოზინაყსა და მარნიდან მოპარულ ნუგბარ ჩურჩხელაზე.

მოგონებებით ჭრელი სათამაშოების ძველ ნაძვის ხეზე წკრიალით, მოგონებებით აციმციმებულ ერთ სანთელზე, იმედის სანთელზე ბებიას ხონჩაზე ... ეს ჩემი ახალი წელია შობის ვარსკვლავის თვალების ციმციმით, ლოყაწითელი ვაშლებისა და უდროოდ აყვავილებული კაქტუსის დიმილით.

იაპონური წეროებითა და ცხელი ღვინით, ვაშლის ღვეხელის სურნელში გახვეული ახალი წელი ჩემი, სულ ჩემი ძველი ახალი წელი ...

ჩემი სამყარო

პატარა სამყარო შექქმენი, ფერადი სურათებით, ლამაზი ყვავილებით. მერე ატმოსფერო დავატკბე ოცნებისფერი სურნელით. წიგნების მთები დავახვევე, იმათი სიმძიმე ვიგრძენი, ჩემი ოცნებები ავახმაურე ნუგეშით, რწმენით და იმედით...

ღრო მიდის, მიდის...

ხელები დაღარული, სახე გაცრეცილი, თვალები ჩაძირული ზღვაში. ისე დაიღალნენ მოლოდინით ველარ ციმციმებენ ვარსკვლავნი ცაში. მხრები ჩამოყრილი, მძიმეა ტვითი ... თმები ჩამოშლილი, დამფრთხალი ფიქრით.

ღრო მიდის, მიდის... წამებად დაშლილი წუთები, დღეები გამქრალი, ჩამქრალი. მეც დაკარგული სივრცეში... ქარს მიაქვს ნაფიქრი მრავალი.

ხელები დაღარული, სახე გაცრეცილი, თვალები ჩაძირული ზღვაში.

გული

საკუთარ გულში ხელებს ვაფათურებ, ზოგჯერ სახსეა იგი, ზოგჯერ იცლება მალე. ყოველთვის რთულია იპოვო მასში გზა, სწორი გზა ფიქრებში ჩაკარგული. სული არეული ათასი დარით, მხრები დატვირთული შრომით და გარჯით, გული სახსე და გული ცარიელი, ქვიშის საათივით წამ-წუთ გამოთვლილი, ხალისით ავისლი, ტკივილგამოვლილი, შემფოთებული და ცრემლად დაღვრილი.

ნოემბრის იასამნები

ჰაერში იფრქვევა ცივი სურნელი, სახე ამიწვა სუსხმა. ნოემბრის თვეში ყვითელ ფოთლებში იასამანი არშიფობს ურცხვად. თვალეციმციმა, ტანმოხატული, ღობეს ეხვევა ყელზე. გადარეული იასამანი ნოემბერს უცვლის ფერებს.

გალაკტიონომანია

თოვდა და თოვდა და მხრებზე მათოვდა „იისფერი თოვლი“. თვალებს მივსებდნენ ფანტელები და ვერ ვამჩნევდი გზას მივყვებოდი თუ „სილაფვარდეს“. „ლურჯა ცხენების“ თქარა-თქური მესმოდა და მერე ... ნაფეხურები მათი „ნაწვიმარ სილაში“ იკარგებოდა. თეთრი ხიდიდან ეფინებოდნენ თმაგაწვილი ფანტელები, მერე რიონში იღვა რკალები, რკალები უსასრულოდ ბევრი და „თრობის საათზე“, „ღვინის საათზე“

საკუთარ გულში ხელებს ვაფათურებ ...

გზას ვეძებ, გზას, ფიქრებში დაკარგულს

მზე და ზღვა

ზღვაში ჩაეშვა ბევრი ყვითელი, მზემ დაიბერტყა კალთა. ცისფერი წაშალა სასტიკმა ღამემ, კეთილის სიძულვილს რომ ვეღარ მაღავს.

ყვითელი სითბო ჩაიბნა ზღვაში, მზეს კი ეძინა დრუბლების მიღმა,

მთავარი რედაქტორი **ბია ხოშბერი**
რედაქტორის მოადგილე **ლელა ჩოგოვაძე**
პორნსკონტენტი **თამარ გუგუნიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო პატარაია**
ჩვენი მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94
E-mail: atsugazeti@gmail.com

გამეთი აიწყო და დაკაბადონდა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში
ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com